



# Keep Rugby Clean

KEEP RUGBY CLEAN

## ექსტაზი

### რა არის ექსტაზი?

ექსტაზი წარმოადგენს სინთეტიკურ პრეპარატს ჰალუცინოგენური და აღმგზნები ზემოქმედებით, რომელიც ქიმიკოსბესთვის ცნობილია როგორც MDMA ან 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინი. უმეტესად ტაბლეტის ფორმით გამოდის და ხშირად შერეულია სხვა ტოქსიკურ ქიურ ნივთიერებებთან, როგორცაა ეფედრინი, კეტამინი, კოკაინი, მეტამფეტამინი, კოფეინი და ვირთხის შხამიკ კი, რაც ზრდის პოტენციურ რისკს მომხმარებლების ჯანმთელობის მიმართ, რომლებიც ამას არ მოელიან.

ექსტაზის გამოყენება, ჩვეულებრივ ასოციირდება ღამის კლუბებთან და საცეკვაო საღამოებთან. თუმცა, სოციალური გარემოს მიუხედავად, რომელშიც ხდება მისი გამოყენება, თქვენს ორგანიზმში ტესტის მეშვეობით მის აღმოჩენას სერიოზული შედეგები მოყვება.

ექსტაზი კლასიფიცირებულია, როგორც სპეციფიკური აღმგზნები საშუალება და აკრძალულია მხოლოდ შეჯიბრის დროს მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ. ექსტაზის გამოყენებასთან დაკავშირებული სანქცია იწყება 4 წლიანი აკრძალვით სპორტის ყველა სახეობისგან.

### როგორ მოქმედებს ორგანიზმზე?

ექსტაზი პირდაპირ მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ისეთი ქიმიური ნივთიერებების გამოთავისუფლებით, როგორცაა სეროტონინი და ოქსიტოცინი. ეს იწვევს ეიფორიას და მოუსვენრობას, რასაც სწრაფად მოყვება დაქვეითების პერიოდი. სხვა მოკლევადიანი ზემოქმედება ორგანიზმზე შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ენერჯის და გამძლეობის ზრდა
- სტიმულის და მოტივაციის ზრდა
- მადის შემცირება
- მეხსიერების ხანმოკლე ვადით დაკარგვა
- შარდის შეკავება / დეჰიდრატაცია
- გულისცემის გახშირება, სხეულის ტემპერატურის აწევა
- კბილები უნებლიე კრაჭუნნი

- დაბინდული მხედველობა და გულისრევა
- ძლიერი ფორიაქი, პარანოია და დეპრესია

გრძელვადიანი ზემოქმედება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- კლინიკური დეპრესია
- დაბალი თვით-შეფასება და საკუთარ თავში დაურწმუნელობა
- ღვიძლის დაზიანება
- მეხსიერების, სწავლის უნარის და ყურადღების დაქვეითება
- კბილების ინტენსიური ცვეთა

### რამდენი ხნის განმავლობაში რჩება ექსტაზი ორგანიზმში?



ორგანიზმში ექსტაზის აღმოჩენა შესაძლებელია მიღების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში. ამ პრეპარატის ორგანიზმიდან გამოყვანის დროზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა მიღებული რაოდენობა, გამოყენების სიხშირე, სქესი, ასაკი,

ექსტაზის სისუფთავე და პიროვნების მეტაბოლიზმი.

**გახსოვდეთ** - მოთამაშის ტესტი ექსტაზიზე შეიძლება დადებითი იყოს მაშინაც კი, როდესაც ექსტაზი გამოყენებული იყო რამდენიმე დღით ადრე ტესტირებამდე.

### ექსტაზი



### სტატუსი რაგბში

აკრძალულია შეჯიბრის დროს